განკარგულება:**g-81. 81223574**
თარიღი:**23/12/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №78

ქალაქ ცაგერში მდებარე თამარ მეფის ქუჩის ნაწილისათვის ლალი ჩიქოვანის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის და ,,მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ ცაგერში მდებარე თამარ მეფის ქუჩის ნაწილისათვის სახელის გადარქმევა და ლალი ჩიქოვანის სახელის მინიჭება მოხდეს გამონაკლისის სახით, მისი გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლამდე.

2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი